KA021707626300420

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N4/29648 10 / ივნისი / 2020 წ.

შპს "სამედიცინო ინოვაციების ცენტრი" (ს/კ 405062523) დირექტორი - გიორგი საგანელიძე. მის: ქ.თბილისი, ლუბლიანას ქუჩა N70. ელ.მის: bacho2202@gmail.com

თქვენი 2020 წლის 9 ივნისის განცხადების (სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში „სააგენტო“) რეგისტრაციის ნომერი 50574/ფ, 10.06.2020 წელი) პასუხად გაცნობებთ, რომ სააგენტოსა და შპს „სამედიცინო ინოვაციების ცენტრს“ (ს/კ 405062523, შემდგომში - მყიდველი/კომპანია) შორის 2015 წლის 26 მარტს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების (2019 წლის 28 მარტს გაფორმდა ცვლილების ხელშეკრულება) (შემდგომში „ხელშეკრულება“) 3.1.1 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების (ქონების ბაზაზე ზოგადი პროფილის, არანაკლებ 25 საწოლზე გათვლილი, სამედიცინო მომსახურების ცენტრის შექმნა, აღჭურვა (მათ შორის, ინფრასტრუქტურისა და ავტოსადგომის მოწყობა) და ფუნქციონირების დაწყება) შესრულებისათვის სააგენტო განგისაზღვრავთ დამატებით ვადას - არაუგვიანეს 2020 წლის 31 ივლისი. ასევე, გაითვალისწინეთ, რომ ხელშეკრულების 3.1.5 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე წერილით განსაზღვრული დამატებითი ვადის (31.07.2020 წელი) ამოწურვიდან 45 კალენდარული დღის ვადაში თქვენ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების 4.5 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ამსახველი შესაბამისი აუდიტორული დასკვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელშეკრულების 6.7 მუხლის თანახმად, დაგეკისრებათ შესაბამისი პირგასამტეხლო.

აქვე გაცნობებთ, რომ დამატებითი ვადის განსაზღვრა არ აჩერებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებას, რომელიც მყიდველს ეკისრება ხელშეკრულების 3.1.1 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების არაუგვიანეს 26.07.2019 წელს შეუსრულებლობისათვის. შეგახსენებთ, რომ ხელშეკრულების 6.3 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების 3.1.1 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს, ვალდებულების დარღვევის დღიდან (27.07.2019 წელი), 500 ლარს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან შეგახსენებთ, რომ ხელშეკრულების 3.1.1 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების 2019 წლის 28 მარტის ცვლილების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში (არაუგვიანეს 2019 წლის 26 ივლისი) შეუსრულებლობის გამო მყიდველს აღუდგა 2019 წლის 28 მარტის ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებამდე ხელშეკრულების 3.1.1 და 3.1.2 მუხლების დარღვევისათვის ხელშეკრულების 6.3 და 6.4 მუხლების შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლო, ჯამში 152 250.88 ლარი.

დამატებით შეგახსენებთ, რომ „სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სამედიცინო ინოვაციების ცენტრისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის № 2613 განკარგულების მე-3 პუნქტის თანახმად მყიდველი ვალდებულია წარმოადგინოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ხელშეკრულების 2.1, 3.1.1, 3.1.2 და 3.1.3 მუხლებით დადგენილი ვალდებულებების შესრულების (მათ შორის აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის) უზრუნველსაყოფად. ვინაიდან წინამდებარე წერილით ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისათვის განგესაზღვრათ დამატებითი ვადა, გთხოვთ **წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა** წარმოადგინოთ არანაკლებ 01.12.2020 წლამდე მოქმედი ახალი/ვადაგაზრდილი საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს 3.1.1 და 3.1.3 მუხლებით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას (მათ შორის აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას).

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

გიორგი დუგლაძე